შეტყობინება მეოთხე

## ყოვლისმომცველი ქრისტე როგორც კეთილი მიწა – მიწა წყლის ნაკადულებისა, წყაროებისა და სათავეების, რომლებიც მოედინებიან ველებსა და მთებში

ადგილები წერილიდან: რჯლ. 8:7; 11:11-12; იერ. 2:13; 17:7-8; ესაია 12:3-6; იოანე 4:14ბ

I. **გალ. 3:14-ში ნათქვამია: „რათა აბრაამის კურთხევა მოვიდეს წარმართებთან ქრისტე იესოში, რათა ჩვენ მივიღოთ დაპირებული სული რწმენის მეშვეობით“:**
   ა. ფიზიკური ასპექტი კურთხევისა, რომელსაც ღმერთი დაპირდა აბრაამს, იყო კეთილი მიწა (დაბ. 12:7; 13:15; 17:8; 26:3-4) – წინასახე ყოვლისმომცველი ქრისტესი (კოლ. 1:12); ვინაიდან ქრისტე საბოლოოდ ხდება ნამდვილი ჩვენთვის როგორც ყოვლისმომცველი მაცოცხლებელი სული (1 კორ. 15:45; 2 კორ. 3:17). კურთხევა დაპირებული სულისა შეესაბამება მიწის კურთხევას, რომელიც დაპირებული იყო აბრაამისათვის.
   ბ. სინამდვილეში სული, ის, ვინც ხდის ნამდვილს ქრისტეს ჩვენთვის ჩვენს განცდაში არის კეთილი მიწა როგორც სათავე ღმერთისმიერ უხვი მომარაგებისა, რომლითაც ჩვენ ვტკბებით; ეს არის „უხვი შეწევნა იესო ქრისტეს სულისა“ როგორც შეწევნა ქრისტეს სხეულისა – ფილიპ. 1:19.

II. **ყოვლისმომცველი ქრისტე როგორც ყოვლისმომცველი სული – ეს არის „მიწა წყლის ნაკადულებისა, წყაროებისა და სათავეების, რომლებიც მოედინება ველებსა და მთებში“ – რჯლ. 8:7; 11:11-13:**
   ა. წყლის ნაკადულები, წყაროები და სათავეები აღნიშნავს ქრისტეს როგორც მომდინარე სულს (იოანე 4:10, 14; 7:37-39; გამოცხ. 22:1), ხოლო ველები და მთები აღნიშნავს სხვადასხვა ვითარებას, რომლებშიც ჩვენ განვიცდით ქრისტეს როგორც მომდინარე სულს.
   ბ, მთელ ბიბლიას გაჰყვება ხაზი სამერთიან ღმერთთან როგორც წყალთან დაკავშირებით – დაბ. 2:10-14; გამ. 17:5-6; ფსალ. 36:8-9; 46:4; იოანე 4:10, 14; 7:37-39; 1 კორ. 10:4; გამოცხ. 7:17; 22:1:
      1. მდინარე დაბ. 2:10-ში აღნიშნავს სიცოცხლის წყლის მდინარეს, რომლის გასწვრივ იზრდება სიცოცხლის ხე; ეს მდინარე კლავს ადამიანის წყურვილს.
      2. ფსალ. 36:8-9-ში სათავე მიუთითებს მამაზე როგორც სიცოცხლის დასაწყისზე, ხოლო მდინარე მიუთითებს სულზე როგორც სიცოცხლის წყლის მდინარეზე – იოანე 1:4; 7:37-39.
      3. მდინარე ფსალ. 46:4-ში აღნიშნავს სამერთიანი ღმერთის დინებას ქრისტეში სულის როგორც ღმერთის ადამიანებისათვის სიცოცხლის მეშვეობით.
      4. სიცოცხლის წყალი არის სიმბოლო ღმერთისა ქრისტეში როგორც სულის, რომელიც მოედინება თავის გამოსყიდულ ადამიანებში, რათა იყოს მათი სიცოცხლე და სასიცოცხლო შეწევნა; მისი წინასახეა წყალი, მომდინარე გახეთქილი კლდიდან (გამ. 17:6; რიცხ. 20:11), ხოლო მისი სიმბოლოა წყალი, მომდინარე უფალ იესოს განგმირული გვერდიდან (იოანე 19:34).
      5. სიცოცხლის წყლის მდინარე გამოცხ. 22:1-ში და მდინარეები დაბ. 2:10-14, ფსალ. 46:4-სა და ეზეკ. 47:5-9-ში აღნიშნავს სიცოცხლის სიუხვეს მის დინებაში; როგორც ნაჩვენებია იოანეს 7:38-ში ეს ერთი მდინარე მის სიმდიდრესთან ერთად ხდება მრავალი მდინარე ჩვენს განცდაში ღმერთის სიცოცხლის სულის

სიმდიდრეების სხვადასხვა ასპექტებისა – რომ. 8:2; 15:30; 1 თეს. 1:6; 2 თეს. 2:13; გალ. 5:22-23.

**III. წყალი, მომდინარე „ველებსა და მთებში“ (რჯლ. 8:7ბ), მიუთითებს იმაზე, რომ ქრისტე როგორც ცოცხალი წყალი მოედინება სხვადასხვა ვითარებაში (შდრ. 3 მეფ. 20:23, 28):**

ა. ველები არის ჯვრის განცდა, ქრისტეს სიკვდილის განცდა, ხოლო მთები – არის ქრისტეს აღდგომის განცდა – 2 კორ. 1:9; 4:11, 14.

ბ. ქრისტე, დამკვიდრებული როგორც საგანძური ჩვენში, თიხის ჭურჭლებში, არის ღვთაებრივი სათავე შეწევნისა ქრისტიანული სიცოცხლისათვის და აღმატებული ძალა, რომლის მეშვეობითაც ჩვენ შეგვიძლია ვიცხოვროთ ჯვარცმული სიცოცხლით, რათა გამოვავლინოთ აღდგომის სიცოცხლე – მუხ. 7; ფილიპ. 4:13:

1. პავლემ თქვა, რომ მას და მის თანამშრომლებს „ჩვენს შეძლებაზე მეტად დაგვიმძიმდა, ისე, რომ სიცოცხლის იმედიც აღარ გვქონდა... რათა ჩვენი თავის იმედი კი არ გვქონოდა, არამედ ღმერთისა, რომელიც აღადგენს მკვდრებს“ – 2 კორ. 1:8-9.
2. სინამდვილეში, იმისათვის, რომ გამოვლინდეს აღდგომა, საჭირო‍ა სიკვდილი, გულგატეხილობა და იმედგაცრუება (მუხ. 4; 7:5-6); ჯვრის მუშაობა ბოლოს უღებს ჩვენს „მეს“, რათა ჩვენ დავტკბეთ აღდგომის ღმერთით.

გ. პავლე ცხოვრობდა აღდგომის სიცოცხლით ჯვრის მომაკვდინებელი მოქმედების ქვეშ თავისი მსახურების განსახორციელებლად; „ყოველთვის ატარებდა სხეულში იესოს მოკვდინებას, რათა იესოს სიცოცხლეც ყოფილიყო გამოვლენილი ჩვენს სხეულში“ – 4:10:

1. იესო ყოველთვის კლავს (დადებითი თვალსაზრისით) ყველაფერ უარყოფითს ჩვენ შიგნით, რათა განგვკურნოს და გაგვაცოცხლოს ჩვენ – ფილიპ. 1:19; შდრ. გამ. 30:23-25.
2. როდესაც დილით ჩვენ უარს ვამბობთ ჩვენს თავზე, რათა მივიღოთ ჩვენში ღმერთი, დღის განმავლობაში ჩენ ვგრძნობთ, რომ ჩვენ შიგნით მიმდინარეობს მოკვდინების პროცესი – შდრ. იგავ. 4:18.

დ. „ვინაიდან ჩვენ, ცოცხლები, მუდამ ვეძლევით სიკვდილს იესოსათვის, რათა იესოს სიცოცხლეც გამოჩნდეს ჩვენს სიკვდილის სხეულში“ – 2 კორ. 4:11:

1. ჯვრის მომაკვდინებელ მოქმედებას მივყავართ აღდგომის სიცოცხლის გამოვლინებასთან; ეს ყოველდღიური მომაკვდინებელი მოქმედება განკუთვნილია ღვთაებრივი სიცოცხლის გამონთავისუფლებისათვის აღდგომაში – 1 კორ. 15:31; 2 კორ. 4:16.
2. მოციქულები ცხოვრობდნენ სიცოცხლით, რომელიც ჰგავს იმას, თუ როგორი სიცოცხლითაც ცხოვრობდა დედამიწაზე უფალი იესო; უფლის სიცოცხლე იყო სიცოცხლე ჯვრის მომაკვდინებელი მოქმედების ქვეშ აღდგომის სიცოცხლის გამოვლინებისათვის – ისე ნაცხოვრები სიცოცხლისა, რომ მისი პიროვნება იყო ერთი მის მსახურებასთან, ხოლო მისი სიცოცხლე იყო მისი მსახურება – იოანე 6:14-15; 12:13, 19, 23-24.

ე. „ამრიგად, ჩვენში სიკვდილი მოქმედებს, თქვენში კი – სიცოცხლე“ (2 კორ. 4:12); როდესაც ჩვენ ვიმყოფებით უფლის სიკვდილის მომაკვდინებელი მოქმედების ქვეშ, მისი აღდგომის სიცოცხლე ინერგება ჩვენი მეშვეობით სხვებში:

1. ეკლესია ჩნდება და დიდდება არა ადამიანური დიდების მეშვეობით, არამედ ჯვრის სიკვდილის მეშვეობით ღვთაებრივი სიცოცხლის ცეცხლის გამონთავისუფლებისათვის – ლუკა 12:49-50; იოანე 2:19; 12:24-26.

2. უფალმა, როგორც ჩავარდნილმა მიწაში ხორბლის მარცვალმა დაკარგა თავისი მშვინვა-სიცოცხლე სიკვდილის მეშვეობით, რათა გამოენთავისუფლებინა თავისი მარადიული სიცოცხლე აღდგომაში მრავალი მარცვლისათვის; ჩვენ, როგორც მრავალმა მარცვალმა, ასევე უნდა დავკარგოთ ჩვენი მშვინვა-სიცოცხლე სიკვდილის მეშვეობით, რათა დავტკბეთ მარადიული სიცოცხლით აღდგომაში.

**IV. იერემიას 2:13-ში ნათქვამია: „ორი ბოროტება ჩაიდინა ჩემმა ხალხმა: მათ მიმატოვეს მე, ცოცხალი წყლების სათავე, და ამოკვეთეს თავისთვის ჭები, დანგრეული ჭები, წყალს რომ ვერ იკავებენ“:**

ა. ეს ორი ბოროტება, რომლებიც ჩაიდინა ღმერთის ხალხმა, იყო ის, რომ მათ მიატოვეს ღმერთი როგორც თავიანთი სათავე, და ისინი მიბრუნდნენ სათავისკენ, რომელიც განსხვავდება ღმერთისაგან.

ბ. ის, რომ ისრაელის შვილებმა ამოთხარეს ჭები, გამოხატავს ადამიანურ შრომას ისრაელისა, რომელსაც ისინი მიჰყავს გამოფიტვამდე, რომელიც მიმართულია იმისკენ, რომ გააკეთოს თავისთვის რაღაც (კერპები) ღმერთის სანაცვლოდ; ის, რომ ჭები იყო დამსხვრეული და ვერ იკავებდნენ წყალს, მიუთითებს იმაზე, რომ გარდა თვით ღმერთისა, რომელიც რიგდება ჩვენში როგორც ცოცხალი წყალი, არაფერს არ შეუძლია მოკლას ჩვენი წყურვილი და გაგვხადოს ჩვენ ღმერთის გადიდება მისი გამოხატულებისათვის – იოანე 4:13-14.

გ. ღმერთის თვალში მანკიერი, ბოროტმოქმედი, არის ის, ვინც არ მიდის, რომ დალიოს მისგან (ეს. 55:7); ბოროტი მდგომარეობა მანკიერებისა არის ის, რომ ისინი არ მიდიან უფალთან, რათა ჭამონ ის, დალიონ ის და დატკბნენ მისით; ისინი აკეთებენ მრავალ რამეს, მაგრამ არ მიდიან, რომ შეეხონ უფალს, მიიღონ ის, მოიპოვონ ის, გემო გაუსინჯონ მას და დატკბნენ მისით; ღმერთის თვალში არ არის არაფერი უფრო ბოროტი, ვიდრე ეს (57:20-21; შდრ. 55:1-2).

**V. ჩვენ უნდა გამოვიმუშაოთ ჩვევა, ამოვხაპოთ წყალი გადარჩენის წყაროებიდან, რათა დავლიოთ და გადმოვღვაროთ სიცოცხლის წყალი – 12:3-6; იოანე 7:37-39; იგავ. 11:25:**

ა. ჩვენ სიხარულით უნდა ამოვხაპოთ წყალი გადარჩენის წყაროებიდან, ველაპარაკოთ უფალს, უფლის მეშვეობით, უფლისათვუს, უფალში და უფალთან ერთად – ეს. 12:3-6; ფილიპ. 4:6-7, 12; შდრ. ჰიმნი 194.

ბ. ჩვენ უნდა ვაქოთ უფალი, გავიხაროთ მასში, ყოველთვის მადლიერები ვიყოთ და ვუმღეროთ უფალს – 1 თეს. 5:16-18; ფილიპ. 4:4; ებრ. 13:15; ფსალ. 119:164; ეფეს. 5:18-20.

გ. ჩვენ უნდა მოვუხმოთ უფლის სახელს – საქმე. 2:21; 1 კორ. 12:13, 3; 1 თეს. 5:17; 1 კორ. 1:2; მსაჯ. 15:18-19; გოდ. 3:55-56; ჰიმნი 57.

დ. ჩვენ უნდა ვახაროთ სახარება, ვაუწყოთ ადამიანებს იმის შესახებ, რაც აღასრულა ქრისტემ – რომ. 1:16; იოანე 4:32-34; ფილიპ. 2:9; 1 პეტ. 2:9.

ე. ჩვენ უნდა მივცეთ უფალს პირველობა ჩვენს არსებაში და ყველაფერი გავაკეთოთ ღვთაებრივი ბუნების თანახმად – გამოცხ. 22:1; კოლ. 1:18ბ; 2 პეტ. 1:4.

**VI. ღმერთის სახლმშენებლობის თანახმად, ადამიანი, რომელიც დაიმედებულია ღმერთზე, ჰგავს ხეს, დარგულს წყალთა ახლოს, რომელიც აღნიშნავს ღმერთს როგორც სათავეს ცოცხალი წყლებისა; ხე იზრდება მდინარის მახლობლად, შთანთქვას წყლის მთელ სიმდიდრეს; ეს არის სურათი ღმერთის სახლმშენებლობისა, რომელიც ხორციელდება მისი ღვთაებრივი დარიგების მეშვეობით – იერ. 17:7-8:**

ა. იმისათვის, რომ მივიღოთ ღვთაებრივი დარიგება, ჩვენ, ხეებმა, უნდა შევიწოვოთ ღმერთი როგორც წყალი (შდრ. 1 კორ. 3:6; კოლ. 2:7ა); სიმდიდრეები შეწევნის

მომტანი ღმერთისა დარიგებული ჩვენში, როგორც ხეებში, ნერგავს ჩვენს არსებაში ღმერთის ღვთაებრიობას და გვეხმარება ჩვენ, გავიზარდოთ ღმერთის ზომის თანახმად (მუხ. 19); ასე ჩვენ და ღმერთი ვხდებით ერთი, გვაქვს ერთნაირი ელემენტი, არსი, შემადგენლობა და გარეგნული იერი (გამოცხ. 4:3; 21:11).

ბ. ლოცვის მნიშვნელობა არის ის, რომ ჩვენ შევიწოვთ ღმერთს; რაც უფრო მეტად შევეხებით ღმერთს, უფრო მეტად შევიწოვთ ჩვენ მას, და რაც უფრო მეტად შევიწოვთ მას, უფრო მეტად დავტკბებით მისით:

1. არის ასეთი ჰიმნი, რომელშიც ნათქვამია: „მოვდივარ როგორიც ვარ“ (ჰიმნი 765); ეს ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა მივიდეთ ღმერთთან ისეთი, როგორებიც ვართ, ისე, რომ არ ვეცადოთ, გავაუმჯობესოთ ან შევცვალოთ ჩვენი მდგომარეობა; ასე მივიღეთ ჩვენ ქრისტე, და ჩვენ უნდა ვიაროთ ქრისტეში ამგვარად – კოლ. 2:6-7ა.
2. ლოცვა ნიშნავს, მივიდეთ უფალთან ისეთები, როგორებიც ვართ; როდესაც ჩვენ მივდივართ უფალთან, ჩვენ უნდა გადავუშალოთ მას ჩვენი შინაგანი მდგომარეობა და ვუთხრათ მას, რომ ჩვენ განვიცდით უკმარისობას ყველაფერში; მაშინაც კი თუ ჩვენ ვართ სუსტები, დაბნეულები, ნაღვლიანები და ხმას არ ვიღებთ, ჩვენ მაინც შეგვიძლია მივიდეთ ღმერთთან; როგორიც არ უნდა იყოს ჩვენი შინაგანი მდგომარეობა, ჩვენ უნდა მივუტანოთ ის ღმერთს.
3. ნაცვლად იმისა, რომ ვიზრუნოთ ჩვენს მდგომარეობაზე, ჩვენ უნდა შევიდეთ ღმერთის თანდასწრებაში, რათა შევეხოთ მას, ისე რომ ვუყურებდეთ მას, ვუმზერდეთ მას, ვადიდებდეთ მას; მადლობას ვუხდიდეთ მას, თაყვანს ვცემდეთ მას და შევიწოვოთ ის; მაშინ ჩვენ დავტკბებით ღმერთის სიმდიდრით, დავაგემოვნებთ მის სიტკბოს, მივიღებთ მას როგორც სინათლეს და ძალას და შინაგანად ვიქნებით მშვიდები, გაბრწყინებულები, ძლიერები და ავსებულნი ძალით; და ჩვენ შევითვისებთ იმ გაკვეთილს, თუ როგორ დავრჩეთ მასთან შეერთებულნი, როდესაც მიგვაქვს სიტყვა წმიდანებთან – 1 პეტ. 4:10-11; 2 კორ. 2:17; 13:3.

**VII. იოანეს 4:14ბ-ში ნათქვამია: „წყალი, რომელსაც მე მოვცემ, მასში იქცევა წყლის სათავედ, რომელიც ჩქეფს მარადიულ სიცოცხლედ“:**

ა. ეს გვიჩვენებს მომდინარე სამერთიან ღმერთს: 1) მამა არის სათავე; 2) ძე არის წყარო, სათავის გამოსასვლელი ზედაპირზე; ხოლო 3) სული არის მდინარე, დინება; სამერთიანი ღმერთი მოედინება მამის, ძისა და სულის მეშვეობით ჩვენში, და ჩვენი არსების სიღრმიდან სხვებში – 2 კორ. 13:14; იოანე 7:37-38.

ბ. სამერთიანი ღმერთის დინება მიმართულია „მარადიულ სიცოცხლეში“ (4:14ბ); ახალი იერუსალიმი არის ჯამი მარადიული სიცოცხლისა, ხოლო სიტყვა, ნათარგმნი როგორც მარადიულ სიცოცხლედ ნიშნავს, „შედეგად მიჰყავს მასთან“, ანუ „ხდება“; ამგვარად, მამა როგორც სათავე, ძე როგორც წყარო და სული როგორც მდინარე იღვრებიან ჩვენში და მოედინებიან ჩვენთან ერთად, რათა გახდნენ ახალი იერუსალიმი როგორც ჯამი მარადიული სიცოცხლისა.